ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. მეტრეველმა მოუგო დ. რალსტონს

პარიზი, 29 მაისი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ღია ჩემპიონატში კვლავ ბრწყინვალედ ასპარეზობს თბილისელი მეტრეველი.

ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელის მალიგანის დამარცხების შემდეგ იგი ამერიკელთა შორის უძლიერესს — რალსტონს შეხვდა. საბჭოთა ჩოგბურთელმა ამჯერადაც თამაშის მაღალი კლასი გამოამჟღავნა და დაამარცხა მეტოქე — 8:6, 2:6, 6:1, 6:3. ამ გამარჯვებით იგი 8 უძლიერეს ჩოგბურთელთა რიცხვში შევიდა.

როგორც ვიუწყებოდით, ლიხაჩოვთან წყვილში მეტრეველი უგებდა ოკერ (ნიდერლანდები) — რაფელსის (ავსტრალია) ინტერნაციონალურ დუეტს — 7:5 და მეორე პარტია სიბნელის გამო შეწყვეტილ იქნა 3:8-ზე. თამაშის განახლების შემდეგ ეს შეხვედრა კიდევ 2 საათსა და 10 წუთს გაგრძელდა. საბოლოოდ, გაიმარჯვა ჩვენმა წყვილმა — 7:5, 5:7, 12:10, 4:6, 6:2. ამ მოგებით ისინი თექვსმეტეულში შევიდნენ, სადაც ახალგაზრდა ავსტრალიელებს სტოუნსა და კოტრილს შეხვდებიან.

შეჯიბრებას გამოეთიშნენ ბაკშეევა (წააგო გფრ-ის ჩემპიონ ბუდინგთან — 6:8, 6:3, 3:6) და ლიხაჩოვი (დამარცხდა ამერიკელ რიჩისთან — 2:6, 3:6, 5:7).



სურათზე: ა. მეტრეველი.

ფოტო ი. იუნაევისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 103 (3080) 31 1966 წ. მაისი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## 6 თვე მოსკოვში, ამდენივე ხანს — რომში

როგორც ცნობილია, უეფა-ს ტურნირის ფინალში გავიდნენ საბჭოთა და იტალიელი ჭაბუკი ფეხბურთელები (ამ ტურნირს ევროპის იუნიორთა არაოფიციალურ ჩემპიონატს უწოდებენ).

გუშინწინ ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ ბელგრადში. 80-წუთიანი დაძაბული ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 0:0.

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ორივე გუნდს მიენიჭა 1 ადგილი და თასი პირველ ექვს თვეს მოსკოვში იბინადრებს, ხოლო წლის მეორე ნახევარს — რომში.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ივანოვი („დინამო“, მოსკოვი), იანეცი („ავინტული“, კიშინიოვი), მოროზოვი (ცსკა), შერგელაშვილი, ქოხონელიძე (ორივენი — „დინამო“, თბილისი), ტესლევი („ავინტული“), კურილოვი („დინამო“, მინსკი), ზალიმოვი („ტორპედო“, მოსკოვი), ბექთაშევი („პახტაკორი“, ტაშკენტი), გერშკოვიჩი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), გ. ნოდია („ტორპედო“, ქუთაისი).

* * *

გუშინ საბჭოთა ფეხბურთელები სამშობლოში დაბრუნდნენ. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ივაშოვმა განსაკუთრებით აღნიშნა მოროზოვის, ივანოვის, შერგელაშვილისა და ნოდიას თამაში. სხვათა შორის, უეფა-ს გენერალურ მდივანს ძალიან მოეწონა ივანოვი, გერშკოვიჩი და ნოდია.

## ახალი ამბები

● 29 მაისს გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე: „შირაკი“ (ლენინაკანი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:3, „დინამო“ (სტავროპოლი) — „სპარტაკი“ (გომელი) 0:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 0:0, „დაუგავა“ (რიგა) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) 3:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „თერგი“ (გროზნო) 3:0.

● მოსკოვი, 29 მაისი. დღეს აქ დამთავრდა დედაქალაქისა და ლენინგრადის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ტრადიციული შეჯიბრება. ასპარეზობაში ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი: მსოფლიო რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში თ. პრესმა აჩვენა 55,41 მ. ტ. ჩენჩიკმა სიმაღლეზე ხტომაში დაძლია 178 სმ. შუბის ტყორცნაში ვ. პოპოვას შედეგია 57,83 მ. მოსკოველმა სიმაღლეზე მხტომელმა ვ. სკვორცოვმა დაძლია 221 სმ (ეს შედეგი ვ. ბრუმელის მსოფლიო რეკორდის შემდეგ საუკეთესოა სსრ კავშირში). 800 მეტრზე რბენაში თ. ბაბინცევამ სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა მსოფლიოში — 2 05,0. ორდღიანი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 470:452.

● ალმა-ათა, 29 მაისი. დღეს აქ გაიმართა საერთაშორისო კალენდარული მატჩი ფეხბურთში ევროპის ქვეყნების რკინიგზელთა ჩემპიონების თასზე. ადგილობრივი „კაირატი“ შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს. გაიმარჯვეს ალმაათელებმა — 7:0. ამ კოლექტივთა განმეორებითი მატჩი გაიმართება მიუნჰენში.

## ახალი ამბები

◆ სანტ-იაგო, 30 მაისი. გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ ჩილისა და მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მექსიკელებმა — 1:0.

◆ მონტევიდეო, 30 მაისი. ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუშინ აქ დაამარცხა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (ინგლისი) — 2:0.

◆ ნეაპოლი, 30 მაისი. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა გუშინ აქ წააგო ამხანაგური შეხვედრა იტალიის ეროვნულ გუნდთან — 1:2.

◆ ვარშავა, 30 მაისი. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში 4 საბჭოთა ათლეტი მონაწილეობდა და ოთხივე I ადგილზე გავიდა. ესენი არიან მიხაილიშინი, ზახარიანი, კოტი და კოჩნევი.

◆ ვროცლავი, 30 მაისი. სოციალისტური ქვეყნების მოფარიკავეთა ტრადიციულ ტურნირში რაპირისტ ვაჟთა შორის გაიმარჯვეს უნგრეთისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა. პირადი შეჯიბრება მოიგო უნგრელმა საბომ, რომელმაც ფინალში ხუთივე მეტოქე დაამარცხა. II ადგილზეა პოლონელი სკრუდლიკი. სარატოველი შაროვი V ადგილზეა. გუნდური ტურნირის ფინალში პოლონელებმა მოუგეს უხეიროდ მოფარიკავე მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონს — საბჭოთა ნაკრებს — 9:3.

## პეტროსიანის უპირატესობით




მოსკოვი, 30 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში გაიმართა პეტროსიან — სპასკის მატჩის XX პარტია.

ამჯერად, სპასკიმ უარი თქვა დებიუტის ორიგინალურად გათამაშებაზე და აირჩია ნიმცოვიჩის დაცვის კლასიკური სისტემა. მეტოქეებმა პირველი 15 სვლა რამდენიმე წუთში გააკეთეს, ვინაიდან ყოველივე ეს თეორიაში კარგადაა ცნობილი. მე-16 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა ახლებურად ითამაშა.

სპასკი თავიდან ვერ მიუხვდა პეტროსიანის ჩანაფიქრს და მე-17 სვლაზე იჩქარა c პაიკის წინსვლით. მსოფლიო ჩემპიონმა შემდგომი თამაში ამ პაიკის წინააღმდეგ ააგო, მაგრამ პარალელურად შეუტია ლაზიერის ფრთის სხვა პაიკებსაც. მალე სპასკი იძულებული გახდა გამოთხოვებოდა b პაიკს, რათა საკმაო კონტრთამაში მიეღო. პოზიცია უკიდურესობამდე დაიმუხტა.

შემდგომ სპასკი ეტლით შეიჭრა თეთრების პოზიციაში და იერიშის შანსები მიიღო, მაგრამ მან ზედმეტად შეაფასა თავისი პოზიცია და ჯერ კუსა და შემდეგ ეტლის შეწირვით შეეცადა გადამწყვეტი დარტყმის მიტანა. პეტროსიანმა ჩინებულად დაიცვა თავი და ზედმეტი ეტლით დარჩა.

პარტია გადაიდო. პეტროსიანის გამარჯვება უეჭველია.

აი, პარტიაც:

**პეტროსიანი — სპასკი**

**ნიმცოვიჩის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. e3 0—0 5. კd3 c5 6. მf3 d5 7. 0—0 მc6 8. a3 კ:c3 9. bc dc 10. კ:c4 ლc7 11. კd3 e5 12. ლc2 კg4 13. მ:e5 მ:e5 14. de ლ:e5 15. f3 კd7 16. a4 ეfe8 17. e4 c4 18. კe2 კe6 19. კe3 ლc7 20. ეab1 მd7 21. ეb5 b6 22. ეfb1 ლc6 23. კd4 f6 24. ლa2 მფh8 25. კf1 h6 26. h3 ეab8 27. a5 ეb7 28. ab ab 29. ლf2 ეa8 30. ლb2 ე7a7 31. კ:b6 ეa2 32. ლb4 ეc2 33. კf2 ლc7 34. ლe7 კ:h3 35. gh ე:f2 36. მფ:f2 ლh2+ 37. კg2 მe5 38. ეb8+ ე:b8 39. ე:b8+ მფh7 40. ეd8 მg6. 41-ე სვლა ჩაიწერა პეტროსიანმა.

ამრიგად, XX პარტიის შემდეგ ანგარიშია 9,5:9,5 (1 პარტია გადადებულია).

# კვლავ წინაა ც. კახაბრიშვილი

## საქართველოს მოჭადრაკე ქალთა XXIII ჩემპიონატი

ა. ჩაიკოვსკაია თუ ც. კახაბრიშვილი? ასე დაისვა ლიდერის ვინაობის საკითხი. VII, VIII და IX ტურებში ორივე მოჭადრაკე თავდაუზოგავად იბრძოდა. VIII ტურში ლიდერები ერთმანეთს შეხვდნენ. მძაფრ ჭიდილში გაიმარჯვა ჩაიკოვსკაიამ. მაგრამ საერთაშორისო ოსტატი „ხალიფი ერთი დღით“ აღმოჩნდა. გადადებული პარტიების დამთავრებისას მას შესანიშნავ სტილში მოუგო 11 წლის ნ. გიორგაძემ და კახაბრიშვილი ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

IX ტურის შემდეგ კახაბრიშვილს 8 ქულა აქვს, ჩაიკოვსკაიას — 7,5.

აი, სხვა შეხვედრების შედეგები — VII ტური: ჩომახიძე — ჩიქობავა 0:1, ჩხიკვაძე — მანველოვა 0:1, კახაბრიშვილი — ბაძღუა 1:0, შენგელია — ნაჭყებია 0:1; VIII ტური: ლოლიშვილი — ჩომახიძე 1:0, ხუბულური — ჩხიკვაძე 1:0, ბაძღუა — ივანოვა 1:0, სვანაძე — შენგელია 0,5:0,5, ნაჭყებია — კობაიძე 0:1; IX ტური: კახაბრიშვილი — ჩიქობავა 1:0, გიორგაძე — ლოლიშვილი 0,5:0,5, ჩომახიძე — მანველოვა 0:1, ხუგაშვილი — ხუბულური 1:0, შენგელია — ბაძღუა 0:1, კობაიძე — სვანაძე 1:0, გოგიავა — ნაჭყებია 1:0; გადადებული პარტიების დამთავრება: კახაბრიშვილი — ნაჭყებია 1:0, ხუგაშვილი — ლოლიშვილი 0,5:0,5, ივანოვა — სვანაძე 1:0, კობაიძე — გოგიავა 0:1, ჩიქობავა — გიორგაძე 1:0, მანველოვა — ხუგაშვილი 0:1, ივანოვა — ჩაიკოვსკაია 0:1.

## ჩვენი მძლეოსნების გამარჯვება

გუშინწინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. ისე როგორც შარშან, საერთო გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 473,5 ქულა. II ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის კოლექტივმა — 392,5, III — მოლდავეთისამ — 332,5, IV — სომხეთისამ — 226,5 ქულა.

პროგრამის 38 სახეობიდან საქართველოს მძლეოსნებმა მოიგეს 17, აზერბაიჯანის სპორტსმენებმა — 11, მოლდავეთის წარმომადგენლებმა — 6, სომხეთის მძლეოსნებმა — 4.

მოასპარეზეებმა აჩვენეს სპორტის ოსტატის 7, ოსტატობის კანდიდატის 24 და I თანრიგის 90 შედეგი.

შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხ. „ლელოს“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.



სურათზე: 100 მეტრზე რბენის ფინიშთან. წინ არის ვ. კასატკინი (აზერბაიჯანი).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ვაზისუბნელთა სიტყვა დიტყვის რიგზე

შარშან შემოდგომით სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის ახალგაზრდობამ ივალდებულა მოეწყო კომპლექსური სპორტული ბირთვი ფეხბურთის მინდვრით, მძლეოსნური სექტორებით, სარბენი ბილიკებით, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით. ტრიბუნები 2.000 მაყურებლისთვის გაითვალისწინეს. ამჟამად ვაზისუბანში დიდი მუშაობაა გაჩაღებული ვალდებულებათა შესრულებისთვის. კოლმეურნეობის ახალგაზრდობის უშუალო მონაწილეობით ჩატარდა 9.000 კბ მეტრი მიწის სამუშაოები და დამთავრდა მოედნის მთავარი ბირთვის მოშანდაკება-მოსწორება. მშენებლობის ადგილზე მიზიდეს 800 კბ მეტრი რიყის ქვა. თუ ასე გაგრძელდა, ვაზისუბნელი სპორტისმოყვარულები წლეულსვე მიიღებენ ახალ, კეთილმოწყობილ ბაზას.

ამ თაოსნობას გურჯაანის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გამოეხმაურნენ და უკვე შეუდგნენ კიდეც საქმეს. მათ შორის, ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“, მუკუზნისა და კარდანახის საბჭოთა მეურნეობები, ჩუმლაყის კალინინის სახელობის, ჭანდრისა და მელაანის კოლმეურნეობები და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“, რომელმაც შარშანდელი წელი მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრა. ამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის დ. მამისაშვილის მხარდაჭერით, კოლმეურნე ახალგაზრდობამ ფეხბურთის მინდორი მოაწყო. უკვე მთავრდება ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. შენდება კულტურისა და დასვენების პარკი, სადაც სპორტული მოედნებიც იქნება.

შ. კულულაშვილი,
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.

# უძლიერესი — 52-ე სკოლა

თბილისში გაიმართა დედაქალაქის რაიონების საუკეთესო სასკოლო კოლექტივების პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 52-ე (ორჯონიკიძის რაიონი), მე-19 (1 მაისის), 37-ე, (ოქტომბრის), 65-ე (კიროვის), 96-ე (26 კომისრის), 41-ე (კალინინის) და მე-13 (ლენინის) საშუალო სკოლების ნაკრები გუნდები. ყველა კოლექტივს გამოჰყავდა უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის გოგონები და ჭაბუკები.

პიონერულ ოთხჭიდში (უმცროსი ასაკი) გაიმარჯვეს — ბიჭებში: ვ. უზმორსკიმ (52-ე სკოლა) — 60 მ — 8,0, სიმაღლე — 150, სიგრძე — 492, ბურთის ტყორცნა — 46,40; გოგონებში — ს. ხრიმკომ (მე-19 სკოლა) — შესაბამისად — 9,4, 130, 401 და 40,30.

საშუალო ასაკის სპორტსმენებიდან აღსანიშნავია მე-13 სკოლის მოსწავლეების ლ. ზგონიკოვასა (სიგრძე — 542), ა. ერემინის (სიმაღლე — 165) და დ. კორნიევიჩის (1000 მ — 3.02,3) მაჩვენებლები. ამ ასაკში 100 მეტრზე რბენა მოიგო მ. ჯინჯიხაშვილმა — 12,3, ხოლო სიგრძეზე ხტომა — ლ. შახბაზოვმა (ორივენი — მე-19 სკოლა) — 603.

უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის გამოვყოფთ რამდენიმეს. საქართველოს რეკორდსმენმა 200 მეტრზე რბენაში ე. კონდრატიევმა (37-ე სკოლა) 100 მეტრზე აჩვენა 11,3, ვ. ჩუკანოვმა (96-ე სკოლა) მოიგო სიგრძეზე ხტომა — 673, ვ. მეტაქსემ (65-ე სკოლა) ბირთვის კვრა — 13,65. გოგონათა შორის ორი გამარჯვება მოიპოვა ვ. იაზშიანმა (37-ე სკოლა). იგი პირველი იყო 100 მეტრზე რბენასა (13,0) და სიგრძეზე ხტომაში (524).

საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა 52-ე სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. ქადეიშვილი) კოლექტივი, რომელმაც 3626 ქულა მოაგროვა.

ვ. ბუკია.



# თავისუფალ დროს... ჭადრაკი!

## აკაკი შანიძე: „მე კომბინაციური თამაშის მოყვარული ვარ“.

მაგიდაზე მიჯრით აწყვია სხვადასხვა ენაზე დასტამბული „ვეფხისტყაოსანი“. აკადემიკოსი აკაკი შანიძე განსაკუთრებით მოუცლელია ახლა, შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილეს წინა დღეებში. დიდი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს აჯერებს. მაგრამ... მაგიდის კუთხეში დახვავებულ ხელნაწერ ფურცლებზე, პოემის ტაეპთა შორის, ლექსისთვის უცნაურ ასოებსაც მოჰკრავთ თვალს: 1. e4, e6 2. d4...

დასვენების დროს აკაკი შანიძე პეტროსიან — სპასკის მატჩში გათამაშებულ პარტიებს ეცნობა. ყურადღებით იწერს მათ მსვლელობას და შემდეგ არჩევს...

— მართალია, ბრძოლა ძალიან დაძაბულია, მაგრამ პარტიების უმრავლესობა მაინც ვერ მანიჭებს სიამოვნებას, — ამბობს აკადემიკოსი. — მე კომბინაციური თამაშის მოყვარული ვარ. ამიტომ მომეწონა პეტროსიანის გამარჯვება X პარტიაში, რომელშიც ჩემპიონმა ორი ეტლი შესწირა. სამწუხაროდ, ასეთი პარტიები იშვიათია. საერთოდ, ამ მატჩში პეტროსიანის თამაში უფრო მომწონს. მისი გამარჯვების მსურველიც ვარ. ამაში, ალბათ, ტიგრანის სამხრეთელობაცაა დამნაშავე!

გ. შეყილაძე.

* * *

სურათზე: აკადემიკოსი ა. შანიძე თავის სტუმართან, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ თ. შამილთან ერთად არჩევს პეტროსიან — სპასკის მატჩის ერთ-ერთ პარტიას.

ფოტო ავტორისა.

# ზესტაფონის საჭიდაო სარბიელზე

ჩატარდა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ არგვეთის საბჭოთა მეურნეობის, ხოლო III — მეორე სვირის კოლმეურნეობის ათლეტები.

პირად ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: გ. სამხარაძე, გ. შათირიშვილი, ო. ოდიკაძე, გ. გუგესაშვილი, ო. მათიაშვილი, ი. აბესალაშვილი, ნ. დეკანოსიძე. პირველობა არ გათამაშდა ქვემსუბუქ წონაში.

• • •

რკინიგზის კლუბში მოეწყო „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. I ადგილი მოიპოვა არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ო. ზარნაძემ, გ. ლანჩავამ, ე. ლეჟავამ, მ. ზარნაძემ, დ. ჭილვარიამ, ა. რობაქიძემ, მ. ბუმბეშაშვილმა, ა. შერგილაშვილმა.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

# თქვენთვის, სპორტსმენებო!

თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკის პროდუქციამ კარგა ხანია გაითქვა სახელი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. 60 დასახელების ნაწარმს (ტყავის ბურთებს, ფეხსაცმელს, ყველა სახის ტრიკოტაჟსა და სხვ.) უშვებს ეს ფაბრიკა.

საწარმოს კოლექტივმა განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილ ვახტზე. I კვარტალში აქ ზეგეგმით გამოუშვეს 7.000 ცალი ზედა და ქვედა ტრიკოტაჟის ნაწარმი, შეკერეს 2.500 წყვილი სპორტული ფეხსაცმელი, დაამზადეს ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის 15.600 ბურთი, — 300-ით მეტი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

ამას წინათ ფაბრიკაში აითვისეს ახალი მოდელის საფეხბურთო და საფრენბურთო ბურთების წარმოება. ახლა მათ ორ ფერში კერავენ. საბურავის ღია ფონზე გამოიყოფა ხუთკუთხა შავი ნაჭრები.

სიახლეა ელასტიური საბანაო ტრუსების წარმოებაც. ითვისებენ ელასტიური ქსოვილის პერანგების გამოშვებას. ამას წინათ ფაბრიკამ მიიღო ახალი მოწყობილობა, რომელიც სანაოსნო აფრების დამუშავებას აჩქარებს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სატრიკოტაჟო საამქროს რეკონსტრუქცია, რის შემდეგ საგრძნობლად გაიზრდება მისი პროდუქციის, განსაკუთრებით, საწვრთნელი კოსტუმების წარმოება.

ახლა ფაბრიკის ყველა საამქროში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ეძღვნება. ამ თარიღის აღსანიშნავად აქაურმა ოსტატებმა გაზრდილი ვალდებულებანი იკისრეს. დაწინაურდა ფეხსაცმლისა და ბურთების, აგრეთვე, კაპრონის უბნები, რომლებსაც ა. მურადიანი და ა. გოგორიშვილი ხელმძღვანელობენ.

ა. ვენაძე.

[illegible]

## ორჯონიკიძე

საინტერესოდ ჩატარდა რაიონის სკოლების შეჯიბრება ფეხბურთში სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. მარლანიას სახელობის თასზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიცხის სკოლა-ინტერნატისა და ორჯონიკიძის მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივები. მატჩი მოიგეს ორჯონიკიძელებმა — 4:1. კარგად ითამაშეს ბ. მანჯავიძემ, ნ. ქურდოვანიძემ, ნ. ბერაძემ, ზ. ლაცაბიძემ, ა. ლომსაძემ, ლ. მაჭავარიანმა, მ. გაბუნიამ.

ჯ. შარიქაძე.

## მაიაკოვსკი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა ფრენბურთში. ვაჟთა შორის ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდა საშუალო და რვაწლიანი სკოლების 16 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფერსათისა და როხის საშუალო სკოლების გუნდები. გაიმარჯვეს როხელებმა, რომლებმაც ზედიზედ მესამედ დაისაკუთრეს ჩემპიონის წოდება.

ზ. მჭავანაძე.

# მშენებლები გააქტიურდნენ

წერილში „80 ათასი საფრთხეშია“, რომელიც „ლელოში“ შარშან, 15 სექტემბერს დაიბეჭდა, ვწერდით, რომ თბილისში „განთიადის“ საცურაო აუზის გათბობის სამუშაოები ჭიანურდება.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მშენებლებთან ერთად იმსჯელა საქმის შემაფერხებელ მიზეზებზე. აუზს ეწვივნენ სამტრესტის თბილისის საწარმოო კომბინატის, მცხეთის სარემონტო კანტორის მუშაკები, რომელთაც მშენებლებს პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინეს.

და აი, მალე აქ შემოზიდეს საჭირო მასალები, დაიწყეს მილების ჩაწყობა, ააშენეს საქვაბეები და დამხმარე სათავსოები.

ამჟამად მუშაობა წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან ერთად წარმოებს 50-მეტრიანი აუზის მოპირკეთება კაფელით, ტრიბუნების შეკეთება - შეღებვა. წესრიგზე მოჰყავთ სამხაპეები, გაჩაღებულია მუშაობა აუზის ტერიტორიის გასამწვანებლად.

მშენებლები ყოველდღიურ დავალებას პირნათლად ასრულებენ. განსაკუთრებით გამოირჩევა პ. თავაძის კომპლექსური ბრიგადა.

— თუ ასე გაგრძელდა, — გვითხრა სამუშაოთა მწარმოებელმა, ინჟინერმა ს. ანთელავამ, — ალბათ საქმესაც მალე დავამთავრებთ.

თ. გარეჩილაძე.

თბილისში ამას წინათ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი დედაქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა შეჯიბრებამ მძლეოსნობაში.

• • •

სურათზე: 1.500 მეტრზე უფროსი ასაკის ჭაბუკთა რბენის მომენტი.

ფოტო ი. იუნაევისა.



თუ მძლეოსნობას სპორტის დედოფალს უწოდებენ. ათჭიდი მისი გვირგვინია ეს გამოთქმა ისე ხშირად გვესმის, რომ ხანდახან ბანალურადაც გვეჩვენება მაგრამ მის სისწორეში ეჭვი მაინც არავის ეპარება. ათჭიდი სპორტსმენისაგან მოითხოვს სულ სხვადასხვა თვისების შერწყმას: სპრინტერის სისწრაფეს, მტყორცნელის ძალას, მხტომელის მოქნილობას, სტაიერის გამძლეობას. მაგრამ ყველაფერი ეს ერთად აღებული მძლეოსანს წარმატებას არ მოუტანს, თუ მას მტკიცე ხასიათი და ღრმა რწმენა არა აქვს.

ათჭიდელთა შეჯიბრებები ყოველთვის ითვლება მძლეოსნური ტურნირების გვირგვინად ამ სახეობაში ასპარეზობა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. სპორტულ სამყაროს დღემდე ახსოვს მრავალჭიდის სახელგანთქმული ოსტატების — ვ. კუზნეცოვისა და ამერიკელი რ. ჯონსონის ცხარე ასპარეზობა, რომელმაც რამდენიმე წელს გასტანა. მათ რიგრიგობით ეპყრათ მსოფლიო რეკორდი. შედეგები გამუდმებით მაღლდებოდა რომის ოლიმპიადაზე მათ მედლები გაიყვეს, მაგრამ ოქრო მაინც ჯონსონს დარჩა, რომელიც იმ დროს მსოფლიო რეკორდსაც ფლობდა.

რომის შემდეგ რაღა მოხდა?

ამ ორი შესანიშნავი სპორტსმენის ტიტანური ბრძოლის განმავლობაში ვერც საბჭოთა მწვრთნელებმა, ვერც ამერიკელებმა ვერ შეამჩნიეს კონკურენტების „დაბადება“, — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალგაზრდა ათჭიდელთა ძალიან ძლიერი ჯგუფი შეიქმნა. მათმა მწვრთნელმა ფ. შირმერმა წვრთნის საფუძვლად საბჭოთა სპეციალისტების მიერ დამუშავებული მეთოდიკა გამოიყენა და მას მხოლოდ წმინდა გერმანული პედანტურობა დაუმატა. ჰოლდორფი, მოლტკე, ბაიერი, პფლუგბეილი, ბიკი, ბენდლინი, ვალდე, — მრისხანე ძალა გამოდგა.

ტოკიოს ოლიმპიადაში ოქროს მედალი მოიპოვა ვ. ჰოლდორფმა, ბრინჯაოსი — ჰ. ვალდემ. დასავლეთელი სპეციალისტებისთვის მოულოდნელად

# დედოფლის

მათ შუა ჩადგა ახალგაზრდა საბჭოთა მრავალჭიდელი რ. აუნი. იგი ვერცხლის პრიზიორი გახდა.

ათჭიდელებისთვის ტოკიოს შემდეგ ბევრი შეჯიბრება ჩატარდა და, ბუნებრივია, ყველაზე მეტი პოპულარობა სსრ კავშირისა და გფრ-ის ათჭიდელთა სამატჩო შეხვედრებმა მოიპოვა.

პირველი მატჩი შარშან შემოდგომით გაიმართა ერევანში. ჩვენი ნაკრები დამარცხდა. ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაში ვერ გამოვიდა აუნი. ჭოკით ხტომის დროს დაშავდა ე. ორციევი. მიუხედავად ამისა, ქულათა სხვაობა მინიმალური იყო.

ახლოვდება მორიგი მატჩი. იგი გფრ-ში ჩატარდება. გერმანელ სპორტსმენთა შორის არ იქნება ჰოლდორფი (მან სპორტს თავი მიანება და ბიზნესს მიჰყო ხელი), მაგრამ ამით გუნდი სულაც არ დასუსტებულა.

საბჭოთა ათჭიდელთა უფროსი მწვრთნელი, გამოცდილი სპეციალისტი, სახელგანთქმული ჰ. ლიპის აღმზრდელი ფ. კუდუ ოპტიმისტურადაა განწყობილი. კუდუ არ ცდება. ოლიმპიადის შემდგომი წელი მნიშვნელოვანი გამოდგა საბჭოთა მძლეოსნობისთვის. მან გარდატეხა შეიტანა ათჭიდელთა მომზადებაშიც. კუდუმ ბევრი ახალი, ძლიერი სპორტსმენი გამოავლინა. საკმარისია ითქვას, რომ 1965 წელს ჩვენთან 30-მა ათჭიდელმა დააგროვა 7.000 ქულაზე მეტი. შეფარდებისთვის ვიტყვით, რომ გფრ-ში ამ ზღვარს მხოლოდ 17-მა, აშშ-ში კი — 10-მდე კაცმა გადააბიჯა.

წლევანდელმა წელმა კიდევ უფრო გაახარა სპეციალისტები. ოლიმპიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარდაკარ

ხუთ დღეს გაგრძელდა თბილისის მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირი მრავალრიცხოვანი იყო — მასში 155 გოგონა მონაწილეობდა. მაგრამ ამ ფაქტს „უარყოფითი" მხარეც აღმოაჩნდა: მსაჯთა კოლეგიას ძალიან გაუჭირდა სარბიელის მონახვა.

საქმე ის არის, რომ შეჯიბრების ორგანიზატორმა — თბილისის განათლების განყოფილებამ თანხა არ გაიღო სპორტდარბაზის დასაქირავებლად. და აი, მსაჯთა კოლეგიის წევრებს (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. სალუქვაძე) ისღა დარჩათ, რომ კარდაკარ ევლოთ ასპარეზობის ადგილის სათხოვნელად.

შეჯიბრების მონაწილეებს თავიანთი სპორტდარბაზების კარი სამადლოდ თითო დღით გაუღეს „ბურევესტნიკმა" და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ. უფრო გულკეთილნი აღმოჩნდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტელები, რომლებმაც 3 დღით დათმეს თავიანთი ერთ-ერთი საუკეთესო დარბაზი.

მიუხედავად ამ ჭაპანწყვეტისა, შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოზარდთა I თანრიგის პროგრამით მოასპარეზეებში 52,9 ქულით გიამარჯვა ს. მირჩენკომ („ბურევესტნიკი"). მეორეთანრიგოსან მოზარდთა შორის პირველი იყო ლ. დიკარევა (პიონერთა სასახლე) — 36,25 ქულა. მოზარდთა შორის II თანრიგის პროგრამით ასპარეზობაში ყველას აჯობა პიონერთა სასახლის აღსაზრდელმა ნ. შაბურიშვილმა — 34,9 ქულა.

I თანრიგში მოასპარეზეთა შორის სამივე საპრიზო ადგილი განათლების განყოფილების აღსაზრდელებს — ვ. ხაჩატუროვას (52,7 ქულა), ს. საყვარელიძეს (52,6) და ი. დოლიძეს (51,65) ხვდათ წილად.

ოსტატთა თანრიგის პროგრამით 22 მოვარჯიშიდან მხოლოდ ორმა — ნ. რევაზიშვილმა და ე. არუთინოვამ (ორივენი — თბილისის განათლების განყოფილება) შეძლეს ამ ნორმის ჩვენება. 54,3 ქულით თბილისის ჩემპიონი გახდა რევაზიშვილი, რომელსაც 0,2 ქულით ჩამორჩა არუთინოვა.

III ადგილზე მოკრძალებული შედეგით (42,9 ქულა) გავიდა მათი თანაგუნდელი დ. ჯაფარიძე.

შეჯიბრებამ ბევრი საიმედო სპორტსმენი გამოავლინა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თბილისის განათლების განყოფილების, „ბურევესტნიკისა" და „განთიადის" აღსაზრდელები.

**ნანი ელენტი.**

• • •

სურათზე: ნ. რევაზიშვილი შეჯიბრების დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.



# პრინციპული მატჩი წაგებულია

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 29 მაისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 0:1 (0:1).

**„ლოკომოტივი":** გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, ძაგანია (მუმლაძე), ისიანი, მაზიაშვილი, გავაშელი, კაიშაური, ძიძიგური.

**„ტექსტილშჩიკი":** ტროფიმოვი, კოკოლოვი, ბაკშინი, ციპლეევი, შჩიბროვი, აბდულმანოვი, შულიაკოვი, ბელკოვი, ნებორონოვი, მიხეევი, პუხოვი.

მსაჯი ს. არუთინიანი (აშხაბადი).

განვლილი კვირის მატჩი ზემოდასახელებულ გუნდებს შორის ტურის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა. ივანოვოს „ტექსტილშჩიკი" ერთ-ერთი უძლიერესია „ა" კლასის II ჯგუფში და ბოლო წლების მანძილზე უმაღლეს ლიგაში გადასვლის კანდიდატთა შორის ირიცხება. გუნდი წლეულსაც ძლიერად თამაშობს, ამასთან, 29 მაისისათვის ქვეჯგუფის პოტენციურ ლიდერად ითვლებოდა.

კარგი სატურნირო მდგომარეობა ჰქონდათ თბილისის ლოკომოტიველებსაც, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში მჭიდროდ უახლოვდებოდნენ პირველ ლიდერებს და შემდგომი წინსვლის საიმედო ბაზას იქმნიდნენ. გუნდს აუცილებლად სჭირდებოდა მოგება. ამიტომ მატჩს თავისებური პრესტიჟის ხასიათიც ენიჭებოდა.

„დებიუტი" სავსებით შეესაბამებოდა მოლოდინს. ორი ძლიერი გუნდი თამაშობდა იმ დონეზე, რომელიც შეეფერება მატჩის მნიშვნელობას. უკვე მე-2 წუთზე შეეძლოთ მასპინძლებს გოლით დაემთავრებინათ საუკეთესოდ გათამაშებული კომბინაცია კაიშაურსა და მაზიაშვილს შორის, მაგრამ ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან ძელს მოახვედრა ძლიერად დარტყმული ბურთი.

დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდა თბილისელთა შტურმი. ჩვენი გუნდისთვის თითქოს ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ თანდათან გამოირკვა, რომ „ლოკომოტივის" ნახევარდაცვა ვერ ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რამდენიმე შეცდომა იქნა დაშვებული დაცვაში, სადაც ივანოველთა თავდამსხმელები ხშირად იტყუებდნენ ზონიდან კოპინს და ღიად დარჩენილ დერეფანში ავითარებდნენ შეტევას. გრძელიშვილს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ იგი მეტისმეტად სუსტად, უყურადღებოდ ასრულებდა ბურთის გათამაშებას კარიდან დარტყმისას, რაც მეტოქეს ინიციატივის ხელში აღების დამატებით საშუალებას უქმნიდა.

განსაკუთრებით სახიფათოდ მოქმედებდა რკინიგზელთა საჯარიმო მოედანზე პუხოვი. მან სხვადასხვა პოზიციიდან რამდენიმე გარღვევა მოახდინა, რომელთაგან ერთ-ერთი მე-20 წუთზე გოლით დამთავრდა — 1:0.

„ლოკომოტივმა" ტაიმის დასასრულამდე ვერაფრით ვერ ააწყო თამაში. არ ვარგოდა გადაცემები, საერთო ურთიერთმოქმედება, თავი იჩინა ზოგიერთი მოთამაშის ფიზიკურმა მოუმზადებლობამ. ყოველივე ამას დაემატა ის, რომ შესვენების შემდეგ მინდორი დატოვა დაშავებულმა ძიძიგურმა, 10 ფეხბურთელით კი (ერთი კაცი უკვე შეცვლილი იყო) მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა. უსისტემო შეტევებმა „ლოკომოტივს" არაფერი მოუტანა, მით უმეტეს, რომ ივანოველთა დაცვა უშეცდომოდ თამაშობდა. უაღრესად პრინციპული მატჩი წაგებულ იქნა.

**რ. ქორიძე.**




## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 7 | 5 | 1 | 1 | 14—5 | 11 |
| „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) | 7 | 4 | 3 | 0 | 9—3 | 11 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 7 | 3 | 3 | 1 | 14—4 | 9 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 7 | 4 | 1 | 2 | 9—3 | 9 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 7 | 3 | 3 | 1 | 4—3 | 9 |
| „მაშინოსტროიტ." (პიატიგორ.) | 7 | 3 | 2 | 2 | 18—10 | 8 |
| „დინამო" (სოხუმი) | 7 | 2 | 4 | 1 | 9—4 | 8 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 6 | 3 | 2 | 1 | 8—4 | 8 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 7 | 3 | 2 | 2 | 8—7 | 8 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 7 | 2 | 3 | 2 | 2—3 | 7 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 7 | 1 | 4 | 2 | 8—9 | 6 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 7 | 2 | 2 | 3 | 6—7 | 6 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 6 | 2 | 2 | 2 | 6—7 | 6 |
| „დილა" (გორი) | 7 | 1 | 4 | 2 | 4—6 | 6 |
| „სევანი" (ოქტომბერიანი) | 7 | 0 | 5 | 2 | 6—8 | 5 |
| „ურალანი" (ელისტა) | 6 | 1 | 3 | 2 | 3—9 | 5 |
| „არაქსი" (ერევანი) | 7 | 1 | 3 | 3 | 3—10 | 5 |
| „ უროჟაი" (კრიმსკი) | 6 | 2 | 0 | 4 | 9—10 | 4 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 7 | 1 | 1 | 5 | 5—13 | 3 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 7 | 0 | 2 | 5 | 3—23 | 2 |

## „მოზაიკური" გუნდი

დიდი პოპულარობით სარგებლობს ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ფეხბურთელთა გუნდი „კაშხალი", რომლის წევრები არიან გეოლოგი, ინჟინერი, მასწავლებელი, მძღოლი, დურგალი, მეაპარატე, კალატოზი, შემდუღებელი, გვირაბგამყვანი, მებულდოზერე, გეოდეზისტი. 11 ფეხბურთელი და ყველა სხვადასხვა სპეციალობის ადამიანი.

ამიტომაა, რომ ამ გუნდს, რომელსაც წვრთნის ა. ზამბახიძე, „მოზაიკურს" უწოდებენ. ენგურჰესის მშენებლები აპირებენ აქ მოაწყონ სტადიონი 8000 მაყურებლისთვის.

**გ. მანია.**

დაბა ჯვარი,
ზუგდიდის რაიონი.

## 6 ტურის შემდეგ

ქუთაისის წლევანდელ საჭადრაკო ჩემპიონატში 14 კაცი მონაწილეობს: ოსტატობის კანდიდატი ა. რაზოვსკი, პირველთანრიგოსნები ა. მიქაბერიძე, გ. ქანთარია, თ. სვანაძე, ე. ფხაკაძე, ა. ბოჭორიშვილი, რ. ძორელაშვილი, ი. კოღუაშვილი, ვ. სეფიაშვილი, მ. ხანანაშვილი, ა. სინაურიძე, კონკურსგარეშე — თბილისელი ოსტატები ბ. გურგენიძე, თ. ლომაია და წყალტუბოელი ოსტატობის კანდიდატი ჯ. ბერაძე.

განვლო ექვსმა ტურმა. ენერგიულად თამაშობს ბ. გურგენიძე — 5,5 ქულა. მან 5 პარტია მოიგო, მათ შორის, ჯ. ბერაძესთან და ყაიმით 1 დაამთავრა (თ. ლომაიასთან). საპატიო ოსტატს 0,5 ქულით ჩამორჩება ა. რაზოვსკი. აღსანიშნავია მისი გამარჯვება თ. ლომაიასთან.

**ზ. ნიჟარაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ქუთაისი.

## ა. ანდრეიკოს გამარჯვება

**სოხუმი**, 30 მაისი (ტელეფონით). გუშინ აქ საზეიმოდ დაიხურა საერთაშორისო ტურნირი ასეულიან შაშში, რომელიც სსრ კავშირში მეორედ გაიმართა. ტურნირში 14 მოშაშე მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ჩემპიონმა, რიგელმა დიდოსტატმა ა. ანდრეიკომ — 11,5 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს მსოფლიოს ექსჩემპიონმა, დიდოსტატმა ვ. შჩოგოლევმა და ხარკოველმა ოსტატმა ლ. სლობოდსკოიმ.

უცხოელებიდან ყველაზე უკეთესად ითამაშა ჰოლანდიელმა ოსტატმა ე. ბრონსტრინგმა (8,5 ქულა, VI ადგილი).

წარუმატებლად გამოვიდა ტურნირში თბილისელი ოსტატი თ. ბარამიძე (2 ქულა).

## თასი თეატრმა დაისაკუთრა

კულტურის მუშაკთა პროფკავშირმა სოხუმში ჩაატარა საქალაქო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ კომკავშირის საქალაქო კომიტეტის, სტამბის, მუსიკალური სასწავლებლის, დრამატული თეატრის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლები.

მსახიობებმა პირველობა მოიპოვეს ჭადრაკში, სროლასა და მაგიდის ჩოგბურთში. ამრიგად, თასი საზეიმო ვითარებაში გადაეცა სოხუმის დრამატული თეატრის ფიზკულტურულ კოლექტივს.

**ნ. მიქაშავიძე,**
**სოხუმის თეატრის მსახიობი.**

# ჯვირჯვინი

გუნდების მატჩში, რომელიც ლესელიძეში ჩატარდა, 12 საბჭოთა სპორტსმენი „შვიდიათასელი" გახდა. მათგან ორი 1939 წელსაა დაბადებული. დანარჩენები უფრო ახალგაზრდები არიან. ვინ არიან ისინი?

ლიდერად მაინც კიეველი სამხედრო მოსამსახურე მ. სტოროჟენკო რჩება, რომელიც თანაბრად ძლიერად გამოდის თითქმის ყველა სახეობაში. სტოროჟენკოს ყველაზე უფრო 400 და 1.500 მეტრზე რბენა უჭირს. მწვრთნელები დარწმუნებული არიან, რომ თუ იგი ამ ორ სახეობაში გააუმჯობესებს შედეგებს, მსოფლიო რეკორდის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი იქნება.

მეორე სპორტსმენი, რომელსაც შეუძლია 8000 ქულის დაგროვება, აუნია.

აუნი ერთ-ერთი ათჭიდელი როდია ესტონეთში. მრავალჭიდით აქაური ახალგაზრდების გატაცებაზე, ალბათ, ა. კლუბევერგის, ჰ. ლიპის, უ. პალუს სასახელო ტრადიციებმა იმოქმედა. აუნმა ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებში დაიწყო ვარჯიში თავის თანატოლებთან ერთად ტალინის ახლომდებარე პატარა ქალაქ ნიმში. მისი ბავშვობის მეგობარი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ჰ. პაალო, რომელმაც მაღალი შედეგი (7070) აჩვენა, ახლაც მასთან ერთად ვარჯიშობს. ტ. ლეპიკიც ხომ ტალინში გაიზარდა. ამ ათლეტური აღნაგობის ჭაბუკმა (სიმაღლე 196 სმ, წონა 90 კგ) ათჭიდში პირველსავე შეჯიბრებაში შეძლო 6992 ქულის დაგროვება. ლეპიკი კარგად გამოდის სპრინტში, სიგრძეზე 7,48 მეტრზე ხტება. ტალინში იზრდება კიდევ ერთი ათლეტი — ი. ოტსმა. ლესელიძეში მან 7242 ქულა დააგროვა. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ 25 წლის ი. ლანკს. იგი ბირთვს კრავს 15,45 მეტრზე, 400 მეტრს 50,3 წამში გარბის. დანარჩენ სახეობებშიც თანაბარი შედეგები აქვს.

დაბოლოს, ორი ყველაზე ახალი „აღმოჩენა": ლვოველმა სპორტსმენმა, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის დ. ობარიუსის აღზრდილმა ვ. შლიგინმა ათჭიდში მეცადინეობა მხოლოდ 1960 წელს დაიწყო და უკვე მოაგროვა 7267 ქულა. იგი სიგრძეზე 7,36 მეტრზე, სიმაღლეზე კი 2 მ-ზე ხტება, 100 მეტრის გარბენას 11 წამსაც არ ანდომებს. შლიგინი 21 წლისაა.

ხაბაროვსკელი სტუდენტი ს. შურეპოვი 1946 წელს დაიბადა. მამამისიც ათჭიდელი იყო. შურეპოვი პირველად გამოვიდა ოლიმპიური გუნდების საგაზაფხულო მატჩში და 7135 ქულით V ადგილი დაიკავა.

ჩინებული ფიზიკური მონაცემები აქვს სსრ კავშირის რეკორდსმენს რვაჭიდსა და ჭაბუკთა ათჭიდში, 18 წლის ნ. ავილოვს. სიმაღლით 181 სმ-ია, წონით 79 კგ. სიმაღლეზე 2, სიგრძეზე კი 7,42 მეტრზე ხტება, 50 მეტრზე ტყორცნის შუბს ავილოვს ამზადებს ოდესელი მწვრთნელი ვ. კაცმანი.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ხარკოველი ვ. სტაროდუბცევი, მოსკოველი ა. ფანტალისი, სტუდენტი ი. რუსანოვი (მოსკოვის ოლქი) და პერმელი ვ. შჩერბატიხი — სსრ კავშირის ჩემპიონი იუნიორთა შორის. ჩვენს მიერ დასახელებულ სპორტსმენთაგან ბევრი გამოვა გფრ-ში ჩვენი მძლეოსნების პერსპექტულობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მათ დღესაც თამამად შეუძლიათ მძაფრი მეტოქეობა გაუწიონ თავიანთ გამოცდილ გერმანელ კოლეგებს.

**ა. აბდულაევი,**
ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკას" მთავარი რედაქტორი.

# ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

## მინსკელი მოსწავლის ოქროს მოსავალი

„შახტიორის“ სასახლე ყველაზე ბედნიერი სპორტული სარბიელია ჩემთვის, — თქვა დონეცკიდან წასვლის წინ მინსკელმა მოსწავლემ ლუდმილა ზდანიუკმა. მან პირველად მიიღო მონაწილეობა აკრობატიკაში მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატში და ნორჩ სპორტსმენთა შარშანდელ საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ზდანიუკმა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა აკრობატიკის ახალ სახეობაში — ბატუტზე ხტომაში.

რამდენიმე დღის შემდეგ აქვე გამართულ იუნიორთა შეჯიბრებაში ლიუდმილა კვლავ ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ი. დიაჩკოვა.

დონეცკი.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი. კავკასიონის მთავარი ქედის მისადგომებთან, დომბაის ახლოს, ხუთ წელიწადში უნდა აიგოს საერთაშორისო სპორტული კომპლექსი. უკვე დაიწყო სასტუმროს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობა მათთვის, ვინც მომავალში ტურისტებსა და დამსვენებლებს უნდა მოემსახუროს.



* * *

სურათზე: მშენებლობის ერთ-ერთი უბანი.

ფოტო კ. ტარუსოვისა (საქდესი).

[illegible]



იყოს მსოფლიო ფეხბურთის ლიდერი მომავალი 4 წლით. ახლა ძნელია, ძალზე ძნელია განსაზღვრო მისამართი, თუ საით გაემგზავრება ეს უმაღლესი საფეხბურთო პრიზი. მაგრამ პროგნოზების მოყვარულებს ხომ არა მარტო გამარჯვებულის დასახელება აინტერესებთ, არამედ მეორე ფინალისტიც, ნახევარფინალებისა და მეოთხედფინალების მონაწილეთა ვინაობაც. აქ კი შეცდომას ვერ აიცილებ თავიდან, ვინაიდან სიურპრიზები უეჭველად იქნება.

განა ასე არ იყო შესარჩევ თამაშებშიც? ხომ დარჩნენ ფინალის მიღმა ისეთი ქვეყნები, როგორიც ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, შვეცია, ბელგია. დაახლოებით ასეთი ამბავი მოხდება ბრიტანეთის სტადიონებზეც. არიან ჟურნალისტები, რომლებსაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — ბრაზილიელები მეოთხედფინალშიც კი არ გაჰყავთ. დიახ, დიახ! უნგრელი სპორტული მიმომხილველი ვ. კალვმანი, მაგალითად, ამას წინათ მარწმუნებდა, რომ უნგრეთსა და პორტუგალიას შეუძლიათ „თამაშგარე“ დატოვონ პელეს გუნდი.

## ნისლია ლონდონზე, ნისლი...

ი. ვანიატი

ულმობელ დროს, როგორც ცნობილია, მხოლოდ ერთი მიმართულება აქვს — წინ! და ყოველი განვლილი დღე გვაახლოებს იმ ამაღელვებელ 11 ივლისს, როცა ბრიტანეთის სტადიონებზე დაიწყება დიდი ბრძოლა ოქროს ქალღმერთისათვის. ნისლიანი ალბიონის ნაპირებზე ჩამოსული აზიის, ამერიკისა და ევროპის 16 წარმომადგენელი შეუდგება ქიშპობას უმაღლესი პრიზის მოპოვებისთვის და ამ პრეტენდენტებს შორის არის საბჭოთა გუნდიც, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ რუსული, უკრაინული, ბელორუსიული, ქართული და აზერბაიჯანული ფეხბურთის საუკეთესო ძალები. თვითეულ კლუბს, თვითეულ რესპუბლიკას, რომელმაც სსრ კავშირის ნაკრებს მისცა თავისი მოწინავე მოთამაშეები, შეუძლია იამაყოს ამით და ელოდოს მათს წარმატებებს.

მას შემდეგ, რაც მოტაცებული ქალღმერთ ნიკეს კვალს მიაგნეს და საიმედოდ ჩაკეტეს სკოტლანდ-იარდის სეიფში, მას ფინალამდე ვერავინ იხილავს. მაგრამ ლონდონის ნისლში ახლა ვერც იმას გაარჩევ, თუ ვინ უნდა

მაგრამ დავანებოთ თავი პროგნოზებს. მით უმეტეს, რომ მათ ბოლო არ უჩანს. გადავხედოთ ძალთა შეფარდებას ჩვენს ჯგუფში, სადაც გამოდიან იტალიის, ჩილისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებიც.

ვინ იმყოფება სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ნ. მოროზოვის განკარგულებაში?

მეკარეებია იაშინი, კავაზაშვილი, ბანიკოვი და მასლაჩენკო. შეიძლება, ამ ოთხეულს ჩვენში არა ჰყავს ტოლი, მაგრამ დღის წესრიგში დგება სხვა საკითხი: საჭიროა თუ არა ინგლისში გამგზავრება 4 მეკარით? იქნებ, ორიც საკმარისი იყოს, როგორც ამას ბევრი სხვა აკეთებს? მაგრამ გაიხსენეთ ჩილი, როცა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ მასლაჩენკო სერიოზულად დაშავდა და მეწყობრს მხოლოდ 2 მეკარე შემორჩა. თუ გავითვალისწინებთ მთელი რიგი თავდამსხმელების აგრესიულობას, მათს იერიშებს მეკარეებზე წესების დაცვით თუ დაუცველად, ჯობს სიაში 3-4 მეკარე იყოს.

დაცვა. ორიენტაცია აღებულია პონომარიოვზე, შესტერნიოვზე, აფონინზე, გეტმანოვზე, უსატორესა და დანილოვზე. 3 განაპირა მცველი და 3 სტოპერი. მათგან განაპირა მცველების საკითხი უფრო მწვავედ დგას, განსაკუთრებით მარცხენა ფლანგის მოთამაშეებისა. უკეთესადაა საქმე ცენტრში, სტოპერებთან. მით უფრო, რომ აქ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გადმოყვანილ იქნას უნივერსალური მოთამაშე ვორონინი (თანაც, ხომ არის ასეთი ფეხბურთელი — ხურცილავა!).

მაგრამ ვორონინის უკან დაწევა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში უნდა მოხდეს. ძირითადად იგი უნდა მივიჩნიოთ ნახევარდაცვის წამყვან ძალად, ხოლო მის პარტნიორად — საბო ან სერებრიანიკოვი. რეზერვში არიან აგრეთვე ჰუსაინოვი და სიჭინავა.

ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გარკვეული თავდასხმის ხაზის საკითხი. მარჯვენა ფლანგზე ეჭვს არ იწვევს მეტრეველი, ხოლო ცენტრში, ალბათ, ბანიშევსკი. სხვა ფორვარდები (პონედელნიკი, ჩისლენკო, მალოფეევი, კოპაევი, მესხი და სხვ.) ჯერ კიდევ ცდიან თავიანთ ძალებს.

ჩვენი ნაკრების მოთამაშეთა საშუალო ასაკია 26,5 წელი, რაც კარგად ეფარდება „საერთაშორისო სტანდარტს“, მაგრამ ბევრი სხვა გუნდისგან განსხვავებით, ჩვენი თავდასხმის მოთამაშეთა საშუალო ასაკი მეტია, ვიდრე დაცვისა.

ჩვენი აზრით, ნაკრებს ჯერ არა აქვს მიღებული საბოლოო სახე და ცვლილებები მოხდება არა მარტო ძირითად შემადგენლობაში, არამედ იმ სიაშიც, სადაც 22 კაცი უნდა დარჩეს.

ახლა ცოტა რამ ჩვენს მეტოქეებზე. აიღეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი. ცნობილია, რომ იგი უძლიერესია აზიაში, მაგრამ აზიაში ფეხბურთის კლასი ხომ არაა ისე მაღალი, როგორც სხვაგან? კორეელთა გუნდი ძირითადად მიმართავს 3 ნახევარმცველით თამაშის სისტემას. შრომისმოყვარეობაში და დიდი დატვირთვების მიღებაში მათ ტოლი არა ჰყავთ: დღეში 6-საათიანი ვარჯიში მათთვის კანონია.

მართალია, კორეელებმა საგრძნობლად გაზარდეს სპორტულ ურთიერთობათა მასშტაბები, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ისინი მაინც დებიუტანტებისა და უცნობი მოწინააღმდეგის სახით წარმოგვიდგებიან.

ეტყობა, ბევრი რამ გადაწყდება მეორე ტურში, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ იტალია და სსრ კავშირი. „სკუადრა აძურა“ უმაღლესი საერთაშორისო კლასის გუნდია, რომელიც მთელი სერიოზულობით, მეტისმეტად გულმოდგინედ ემზადება მომავალი ფინალისთვის და, კერძოდ, ჩვენთან შესახვედრად. ბოლო წლებში იტალიელებს დაუმარცხებიათ უძლიერესი გუნდები, თავიანთ რიგებში ჰყავთ პირველხარისხოვანი მოთამაშეები და, გარდა ამისა, წარსულ წლებში ორგზის მსოფლიო ჩემპიონებს აქვთ ისეთი მძლავრი სტიმული, როგორიც ოქროს ქალღმერთის მესამედ და საბოლოოდ მოპოვებაა.

დაგვრჩა მესამე მეტოქე — ჩილი. რა თქმა უნდა, ჩილიელები იმ წარმატებას ვეღარ მიაღწევენ, რომელიც საკუთარ მინდორზე ჰქონდათ 1962 წელს, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში ჩილის ნაკრები, როგორც წესი, მხოლოდ თავისი კონტინენტის წარმომადგენლებთან თამაშობს. აქ ჩილიელებმა დაამარცხეს პერუ (4:1), კოლუმბია (7:2), ეკვადორი (2:0), მაგრამ დამარცხდნენ არგენტინელებთან (0:5) და ბრაზილიელებთან (0:1). წააგეს მათ სსრ კავშირის ნაკრებთანაც — 0:2.

ჩვენი გუნდისა და ჩილის ნაკრების მატჩი ქვეჯგუფში კალენდრით უკანასკნელია, ამიტომ მას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. აქ უკვე გვეცოდინება არა მარტო უახლოესი პარტნიორების მდგომარეობა, არამედ სხვა ჯგუფებში შექმნილი ვითარებაც, რაც გარკვეულ ორიენტირს ქმნის ჩვენთვის. მაგრამ ასეთივე ორიენტირი ექნება ჩილისაც, რომელიც სრულიადაც არ აპირებს დაგვითმოს გზა მეოთხედფინალისკენ.

ერთი სიტყვით, ინგლისზე ჯერჯერობით განუჭვრეტი ნისლია.

მოსკოვი.

## გამარჯვება, რომელიც არ გვახარებს

მოსკოვი, 30 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). იტალიის კლუბმა „ლანეროსმა“ წლევანდელ ჩემპიონატში VI ადგილი დაიკავა. ეს გუნდი განთქმულია, როგორც დაცვითი სისტემის („ბეტონის“) მიმდევარი და ამდენად, მასთან გარკვეულ ინტერესს იწვევდა სსრ კავშირის ნაკრების შეხვედრა, ვინაიდან საბჭოთა ფეხბურთელები ინგლისის სტადიონებზე ამგვარ „ბეტონს“, ალბათ, არა ერთხელ წააწყდებიან.

და აი, გუშინ ჩვენი ნაკრები ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შეხვდა „ლანეროსს“. გამარჯვების მიუხედავად (4:2), სსრ კავშირის ნაკრებმა ვერ დასტოვა სახარბიელო შთაბეჭდილება. ასეთი თამაშით მსოფლიო ჩემპიონატში შორს ვერ წავალთ. საქმეს ვერც ის შველის, რომ მასპინძლებს გოლის გატანის გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, ვინემ სტუმრებს. გუნდი თამაშობდა ულიმღამოდ, მოუნდომებლად, უზუსტოდ.

ბურთები გაიტანეს: მასპინძლთაგან — ბანიშევსკიმ (2), მალოფეევმა და საბომ; სტუმართაგან კოლაუსკიმ და ვინიჩიომ.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი (ჰუსაინოვი), დანილოვი, ვორონინი, საბო, მეტრეველი, ბანიშევსკი, მალოფეევი, ჩისლენკო.

ფეხბურთი

## თასი „სარაგოსას“

გუშინწინ მადრიდში შედგა ესპანეთის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ბილბაოს „ატლეტიკოსა“ და „რეალ სარაგოსას“ შორის.

პირველი ტაიმი სარაგოსელთა უპირატესობით აღინიშნა და 27-ე წუთზე ვილიამ გახსნა ანგარიში — 1:0. მე-40 წუთზე სარაგოსელთა კაპიტანმა ლა პეტრამ მეორე გოლი გაიტანა ირიბარის კარში — 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბასკები შეეცადნენ თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ ამაოდ, — უპირატესობა კვლავ სარაგოსელთა მხარეზე იყო. ანგარიში არ შეცვლილა და გაიმარჯვა „რეალ სარაგოსამ“ — 2:0.

(საქ. ინფ.).

## იუგოსლაველთა დიდი დანაკლისი

იუგოსლავიის ფეხბურთი უახლოეს ხანებში დაკარგავს ორ საუკეთესო მოთამაშეს. განთქმულმა მეკარემ შოშკიჩმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას გფრ-ის კლუბ „კიოლნთან“. 10 ივლისიდან ხელშეკრულება ძალაში შედის. ამავე დროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადავა ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი მცველი იუსუფი. იგი ითამაშებს „აინტრახტში“ (მაინის ფრანკფურტი).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ფეხბურთი

## ვინიჩიო — 25

იტალიის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 34 | 70:28 | 50 |
| „ბოლონია“ | 34 | 60:37 | 46 |
| „ნაპოლი“ | 34 | 44:27 | 45 |
| „ფიორენტინა“ | 34 | 45:22 | 43 |
| „იუვენტუსი“ | 34 | 38:23 | 42 |
| „ლანეროსი“ | 34 | 43:34 | 40 |
| „მილანი“ | 34 | 43:33 | 38 |
| „რომა“ | 34 | 28:31 | 36 |
| „ბრეშია“ | 34 | 43:44 | 32 |
| „ტორინო“ | 34 | 31:34 | 31 |
| „კალიარი“ | 34 | 36:37 | 30 |
| „ფოჯა“ | 34 | 22:30 | 29 |
| „ლაციო“ | 34 | 28:41 | 29 |
| „ატალანტა“ | 34 | 24:37 | 29 |
| „სპალი“ | 34 | 38:45 | 28 |
| „სამპდორია“ | 34 | 27:47 | 27 |
| „კატანია“ | 34 | 24:56 | 22 |
| „ვარეზე“ | 34 | 23:62 | 15 |

„ვარეზე“, „კატანია“ და „სამპდორია“ გაისად II ლიგაში ითამაშებენ.

საუკეთესო სნაიპერთა სია ასეთია: ვინიჩიო („ლანეროსი“) — 25 გოლი, ხორმანი („მილანი“) — 21, მაცოლა („ინტერი“) — 19.

ფეხბურთი

## მოკლედ

**არგენტინის** ეროვნულმა ნაკრებმა თავის საკონტროლო მატჩში სპარინგ-პარტნიორად აირჩია იტალიის თასის მფლობელი „ფიორენტინა“. მიმომხილველები აღნიშნავენ არგენტინელთა უფერულ თამაშს, თუმცა მათ დაამარცხეს მეტოქე — 1:0 (და არა პირიქით, როგორც ამას ადრე ვიტყობინებოდით). აღნიშნავენ, აგრეთვე, რომ იტალიელები ძალზე დაღლილები იყვნენ ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ. ეს გოლი „ფიორენტინის“ კარში გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა როიასმა.

**დამთავრდა** შვეიცარიის ჩემპიონატი, სადაც I ადგილი 40 ქულით დაიკავა „ციურიხმა“ (აღსანიშნავია, რომ „ციურიხი“ ამავე დროს ამ ქვეყნის თასის მფლობელიცაა). მომდევნო ადგილებზე არიან „სერვეტი“ (33 ქულა) და „ლოზანა“ (32 ქულა).

**იუგოსლავიის** თასი მოიპოვა „ბელგრადმა“, რომელმაც ფინალში დიდი ანგარიშით დაამარცხა ზაგრების „დინამო“ — 6:2.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატი მოიგო „აიაქსმა“, რომლის აქტივშია 52 ქულა. II ადგილზე მყოფ „ფეიენოორდს“ მხოლოდ 45 ქულა აქვს.

## „მიტროპის თასზე“

„მიტროპის თასს“ 4 მონაწილე შემორჩა: „ფიორენტინა“ (იტალია), „ვაშაში“ (უნგრეთი), „ვინერ შპორტკლუბი“ (ავსტრია) და „იედნოტა“ (ჩეხოსლოვაკია).

1 ივნისს ფლორენციაში გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრების მონაწილეთა კენჭისყრა. 18 ივნისს ლივორნოში დანიშნულია მატჩი III ადგილისთვის, ხოლო 19 ივნისს ფლორენციაში გაიმართება თასის ფინალი.

## გარინჩა თუ ჟაირზინიო?

ბრაზილიელთა მარჯვენა გარემარბი გარინჩა ახლა შესანიშნავ ფორმაშია და ისევ დაიბრუნა ადგილი პირველ ნაკრებში, მაგრამ ჟაირზინიოც, რომელიც მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში ბრაზილიის № 1 გარემარბად ითვლებოდა, არ აპირებს დაყაროს ფარხმალი.

21 წლის ჟაირზინიო წარმატებით გამოდის როგორც ნაკრებში, ისე „ბოტაფოგოშიც“. ამას წინათ „ბოტაფოგომ“ ორი გამარჯვება იზეიმა „სანტოსთან“ პირველ მატჩში (2:1) მან გაიტანა 1 გოლი, ხოლო მეორეში (3:0) — 2.

იტალიის კლუბებმა „მილანმა“ და „ტორინომ“ ჟაირზინიოს 300 ათასი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევს უცხოელებს და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაში სურს.

## თბილისის სპორტული ბაზები

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 31 მაისი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. X ტური. დასაწყისი 17 ს.

**მძლეოსნური კროსი.** ლისის ტბის მიდამოები. 31 მაისი. ხუთჭიდელთა საკავშირო პირადგუნდური პირველობა უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლათა შორის. დასაწყისი 13 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი). 1 ივნისი. დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 2 ივნისი. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.